№ 184 13 ენკენისთვე, ოთხშაბათი 1866–1878 13 ენკენისთვე, ოთხშაბათი № 184

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღლოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაღლოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### დღიური

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში გაუგზავნიათ ჩვენი ქვეყნიდამ 700-მდინ ოსმალოს ტყვეები. ისინი წაუყვანიათ რკინის გზით ფოთამდინ, აქედამ ზღვით ბათუმში უნდა მიეყვანათ და ბათუმიდამ ზღვითვე ოსმალოს ხომალდს უნდა გარდაეყვანა ტრაპიზონში.

⁂ ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ იქ დამთვრალ იმერლებს ქუჩაზე ძაღლი მოეკლათ ხანჯლით. რადგან ოსმალებს ძაღლი წმინდა არსებად მიაჩნიათ, ამის გამო ამ გარემოებას საშინლად აუღელვებია იქაური მაჰმადიანები: გამოსულან ქუჩაზე მოლლები დაუწყვიათ ყაყანი: „ე რა დროს შევესწარითო! რა უბედურება არის ჩვენს თავსაო!“ და სხვა, და ბოლოს საქმე იქამდინ მისულა, რომ პოლიცია არ გარეულიყო, უეჭველია, რამე უწესოება მოხდებოდაო.

ძალიან კარგი იქნება, რომ ახლად შესულმა ჩვენებურებმა ყურადღებაში მიიღონ და პატივი სცენ იქაური ხალხის ადათს, ჩვეულებას და ცრუ-მორწმუნოებასაც. **ყველა ხალხს** აქვს თავის ცრუ-მორწმუნოება და რაც უნდა უაზრო იყოს ის, ასე მალე და უეცრად იმის მოსპობა და ამოფხვრა არ შეიძლება, დრო უნდა; თორემ ხშირად ამისთანა უბრალო რამეებით ცუდი მიზეზები შესდგება და ხალხში ამ თავითვე უკმაყოფილებასა და სიძულვილს დავთესავთ.

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ ხვალ, ხუთშაბათს, ჯვარის ამაღლების დღესასწაულს, იქნება ქართული წირვა ყოვლადუსამღვდელოესის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და ამ დროს ეკლესიაში ორ ხორად იგალობებენ: ერთის მხრით გურულად და მეორეს მხრით ქართულად (კარბელოვის გალობა).

⁂ იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ წელს ნამუშევრის მოსავალს მთელს ქუთაისის გუბერნიაში კარგსა და სამყოფს მოელიანო; მაგრამ ყურძენი კი თითქმის ყველგან ნაცარმა გააფუჭაო. მხოლოთ ზოგიერთ ადგილებში, სადაც ოდესსის ვაზი („იზაბელლა“) და ლონგელის ვენახი ჰქონდათ, ესენი არ წახდაო.

⁂ გაზეთს „კავკაზში“ ერევნიდამ იწერებიან, რომ აქეთკენ წელს ძალიან უხვ მოსავალს მოელიანო, განსაკუთრებით თივა ბლომად მოვიდაო.

—

**შეცდომა.** „დროების“ 183 ნომერში, პირველ გვერდზედ დღიურიდამ მთელი

## ფელეტონი

### ბათუმში

(წერილი მეშვიდე)

ხასსან-ბეგი ბექან-ოღლი, როგორც წინაზედ მოგახსენეთ, ჩაქვის მებატონეა და ბათუმშიაც დიდი მამულები აქვს.

ის არის 33 წლის ყმაწვილი კაცი; ლამაზი, სიმპატიური სახის, პირზე წამოწითლებული, ჭკვიანი, ნამდვილი ქართველი კაცის შეხედულობისა; დაბალი, „ჩასკვნილი“ ტანისა.

ქართულს ისე კარგათ ლაპარაკობს, როგორც საზოგადოთ ყველა აქაური გამაჰმადიანებული ქართველები.

მაგრამ მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით კი ნამდვილი მაჰმადიანია, მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში.

ბევრი რამ ჩვენთვის საინტერესო და იმათი ხასიათისა და შეხედულობის, ჰაზრის გასაცნობად საჭირო რამეები მელაპარაკა ხასსან-ბეგმა და ვეცდები შემოკლებით მაინც გიამბოთ ეს იმის ნალაპარაკევი.

ხასსან-ბეგს ბათუმის სახელმწიფო შკოლაში შეუსრულებია სწავლა; შემდეგ სტამბოლში ყოფილა სამხედრო სამსახურში. ამ ომის დროს ის იყო უზბაშად (ათასის თავად) და, როგორც თვითონ ამბობს, რამდენათაც შეეძლო, არ გვზოგავდა, ერთგულად ემსახურებოდა თავის ხონთქარს. „მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი კი არა გამოვიდა-რაო!“ ამბობს ის.

იმას ევროპიული ტანისამოსი აცვია, მხოლოთ პერანგზე ყელსახვევი არა აქვს და თავზე ფესი ახურავს. მაგრამ ხასსან-ბეგი იმდენად მაგარი, ისეთი მტკიცე მაჰმადიანია, რომ თითქო ისიც სწყინს, რომ ევროპიული ტანისამოსი აცვია.

— ახლა აქამდინ (ყელზე მიიდვა ხელი) ვართ ჩვენ გაქრისტიანებულიო, სთქვა იმან, და თქვენს ხელში თქვენებური განათლება შემოვა და ამის ზევითაც დავკარგავთ მაჰმადიანობასაცაო.

ეს გარემოება ყველაზე უფრო აწუხებს ხასსან-ბეგს.

—უნდა ვეცადოთ, რომ ამას ზევით (თავი,) მაინც წმინდათ დავრჩეთო, სთქვა იმან, რა მიიდვა ხელი ნიკაპზე.

ერთის სიტყვით, ხასსან-ბეგს გარუსების ეშინიან.

— რასაკვირველია, რუს ხელმწიფე ჩვენი სარწმუნოების შეცვლას და ჩვენ გარუსებას არ მოინდომებს, სთქვა იმან; მაგრამ ეს თავის-თავათ მოხდებაო. ჩვენ მუდამ თქვენში დავიწყებთ ტრიალს. მუდამ თქვენს ცხოვრებას დაუწყებთ ყურებას, ძალა-უნებურად გადმოვიღებთ თქვენგან ჯერ გარეგან შემკულობას და მერე ზნეს, ხასიათს და სარწმუნოებასაც. . . . . . . .

ნაციონალობის ჰაზრი ხასსან-ბეგს არა აქვს. თავის თავსა და ყველა იქაურ ქართველებს ის თათარს ეძახის. „ქართველო“ რომ უთხრა აქაურ კაცს, თითქმის გინებათ ჩამოგართმევს, რადგან „ქართველი“ (ხალხი) და „მართლ მადიდებლობა“ (სარწმუნოება) ამათ ვერ გაურჩევიათ.

— თამარ-დედოფლობა რომ ყოფილა, მაშინ ჩვენ თქვენი ძმები ვყოფილვართ, ერთი მეფე გვყოლია და ერთად გვიცხოვრია; მაგრამ ოთხასი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენ თათარს შევუერთდით და ახლა სხვა ვართ. ჩვენ და ჩვენს ხელმწიფეს ერთი სარწმუნოება გვაქვს და ამიტომ იმასთან უფრო მოთავსებული ვიყავით, ამიტომ გვეძნელება თქვენთან ყოფნა. ამას გარდა ჩვენ ახლა ვიცით ჩვენი ხონთქრის კანონები, ვიცით, თუ რამ შემთხვევა გვექნა, სად და ვის უნდა მივმართოთ, ჩვენი გლეხი წელიწადში შვიდ მაურს

15 სტრიქონი, ასოს-ამწყობლების შეცდომით, გადმოტანილია პირველ კალონაში წერილში: „მცირე რამ მოხსენება.“ ეს 15 სტრიქონი, სიტყვებიდამ: „ის ქვები (არა ერთი, არამედ ხუთი)“ სიტყვებამდი: „რომელიც არის წარწერილი ეკკლესიის კედელზედ“, უნდა იყვეს დღიურში შემდეგი სიტყვეზის ქვემოთ: „გადმოვარდნილა და დაკარგულა ერთი დიდი ქვა“

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

**სტამბოლი, 25 აგვისტოს.** („დროების“ კორრესპონდენცია) მართლაც მშვენიერი შესახედავი ქალაქია კონსტანტინოპოლი ხმელეთითაც და ზღვიდგანაც. მსგავსი მდებარეობა და სიმდიდრე ბუნებისა იშვიათი და შეუდარებელია.

ქალაქი თითქმის ორი ზღვის ნაპირას არის გაშენებული და ძლიერ ფართო ადგილი უჭირავს. ორ ნაწილათ განიყოფება: ევროპ ული—პერა და აზიური—სკუტარა. ე თიც და მეორეც ძალიან მჭიდროთ არის ნაშენი. სახლები ბევრგან ხუთ-და-ექვს ატაჟიანებია; ქუჩები ზოგან ფართო და ზოგან ვიწრო, ძველებურის აზიურის ხასიათით, ნამეტნავათ სტამბოლის ნაწილში, სადაც განსაკუთრებით ოსმალები სცხოვრობენ. საზოგადო წუნი ქალაქისა ქუჩების უწმინდურებაა, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში არ არის ისეთი გასალანძღი შინაგანი მდგომარეობით, როგორც ზოგიერთთაგან გამიგონია.

რაც შეეხება საზოგადოთ ოსმალების მოქმედებას და ცხოვრებას, არც ამაში არიან მაინცა და მაინც ძალიან გასამტყუნარნი მაგრამ ამის შესახებ უფრო მოცლილ დროს დაწვრილებით აგიწერთ და გაგაცნობთ როგორც მთლათ ბალკანის მცხოვრებლებს, ისე ოსმალებსაც.

წინანდელთან შედარებით ეხლა უფრო მშვიდობიანობა ჰსუფევს სტამბოლში, ნამეტნავათ მოხარულნი არიან იმისი რომ ჩვენი ტყვეები დაგვიბრუნდებიანო; სტამბოლის არე-მარეებიდამ რუსის ჯარი წავა ამ მოკლე ხანშიო, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ შემდეგისათვისაც კვალად გვესტუმრებიან, მხოლოდ ის კი არ ვიცით—როდისაო და სხვ“. . .

სან-სტეფანოში ჩვენის ჯარის დგომა მართალია, სტამბოლს ძრიელ შიშს უქადდა, მაგრამ ეკონომიურის მხრით რომ გავსჩხრიკოთ, ჩვენებისათვის უფრო საზარალო გამოდგა.

— ვის ჯიბეში გადავიდა ჩვენი ოქროები? ამაზედ ბევრი მკითხველი წამოიძახებს, ვისაც გაუგონია—„ეჰ ძმაო მაგას ნულარ მოიგონებ, წარსული საქმეა, ჩვენც ვიცით, რომ ზოგი კონკორდეებში დაითესა, ზოგი ... ბაზის სალირალის ალაგას ერთს ოქროს აძლევდა თუკი ბინძური ვაჭრობა სარგებლობდა ქალებს ვინლა დაუდგებოდათ წინ და სხვა-და-სხვა. . .

ერთის სიტყვით ყველაფერში სიწრფელით მოგვატყუეს და გამოგვტყუეს ოქროები. როდესაც მე ვკითხე ამ სიძვირეზე ჩემ სახლის პატრონს სტამბოლში, ასე მიპასუხა:

— „ეფენდი! როდესაც თქვენი გენარლები და აფიცრები შემოვიდნენ სტამბოლში, ჩვენ მაინც ჩვეულებრივ ვიქცეოდით, ერთიც ვნახოთ უბრალო მუშებმა და უსაქმო კაცებმა დაიწყეს ფულების ხვეჭა, თუმცა არა ვითარის საქონლით არ ვაჭრობდნენ მხოლოდ ... ქუჩიდგან ქუჩაზედ გადაიყვანდნენ ... და ორი სამი ოქრო მზათ იყო; ჩვენ, ამის მნახველთა რა გულითა და თვალით უნდა გვეყურებინა, განა ამისთანა დროს ხშირად ჩაიგდებს კაცი ხელში: ჩვენც გაუსვით ხელი და მართალი გითხრა ხანდისხან მანეთის სალირალი როგორც ანტიკა რამ, ათ ოქროთ მიგვიყიდნია. უფრო კარგი, მოგახსენო: ზოგი ერთი ხურდის მიღებასაც არა კადრულობდა!..

ჩემს აქ ყოფნაში და წინათაც სამხედრო ტანისამოსით არა ვის აძლევდნენ ნებას სტამბოლში შასვლისა; ნამდვილ ბერიკულ სურათს წარმოადგენდნენ ზოგიერთები, უჩვეენი სამოქალაქო ტანისამოსისა, ზოგი გაკოტრებულ დერვიშ ურიასა ჰგვანდა, ზოგი ვისა და ზოგი ვისა და ზოგი ვის. . . მე ჩემის ჩერქესკით შეველ სტამბოლში თუმცა ძალიან ამეწიოაალმდეგნენ.

ბევრ სხვა-და-სხვა ალაგებიდამ გაქცეულ კაცებსა აქვსთ აქ თავი შაფარებული. . . .

ქართველების ვაჭრობა, რაც შეეხება თავიანთ შეძლების კვალობდ, გაჩაღებულია, სულ ოც-და-ათამდის მოვაჭრე იქნება და მომეტებული ნაწილი რკინეულის საქონლითა ვაჭრობენ.

მრავალთ უწყით, რომ სტამბოლის ხელში ჩასაგდებათ მთელი ევროპის ძრიელ სახელმწიფოებს თვალები უჭყეტიათ და ყოველთვის ყოველს ჟამს შემდეგის ლექსით:

— როდის იქნება ეს სამეფოცა ჩემი იყოს! . .“

მაგრამ ცარიელის ნატვრით სურვილი არ აღსრულდება და არც ლირონის ძ ლით გაკეთდება რამე! მართალია ქართული, მდაბიო ანდაზა მოგვით-

---

აძლევდა ხონთქარს გადასახადს და სხვა არა იცოდა-რა. ჩვენც, ბეგიები, აღიები ვინცავართ, მართალია, ყმები ჩამოგვართვეს, მაგრამ მაგიერად მუდამ წელიწადს პენცია, ჯამაგირი გვეძლევა. . ახლაკი ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი საქმე. . . . ეს გვაშინებს. .

ხალხში გავიგონე მე კიდევ შიში იმაზედ, რომ, რაკი ჩვენ სხვა სახელმწიფოს ხელში დავრჩებით, პარასკევის ლოცვის ნება-რთვა აღარ მოგვივა იმამისაგან და ჩვენი „ჯამე“ (მეჩითი) მოგვესპობა . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

რამდენიც არ დაარწმუნოთ, რომ ყველა ეს ასე არ მოხდება, რომ, როგორც ჰკონიათ და როგორც იმათთვის ჩაუგონებიათ, ისე არ იქნებიან რუსების ხელში, მაინც ზოგიერთს არა სჯერათ, მაინც თავისას ამბობენ. და ყველაზე გასაკვირველი და საყურადღებო ის არის, რომ ამას ამბობენ არათუ მარტო სოფლის მცხოვრებლები, არამედ თვით ისეთი განათლებული და ჭკვიანი კაცები, როგორიც, უეჭველია, არის ზემოხსენებული ხასსან-ბეგი ბექანიშვილი.

ეს ზემომოყვანილი გარემოებანი არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ განსაკუთრებით ქობულეთიდამ და აგრეთვე ჩაქვიდამ და ბათუმის ახლო-მახლო სოფლებიდამ საკმაო ხალხი გადადის ოსმალეთში და შემდეგშიაც აპირებენ გადასვლას.

ზოგიერთები ამბობენ: სამ წელიწადს ვადა გვქონია, მოვიცდით, ვნახავთ და, თუ არ მოგვეწონა რუსი, გადავალთო. მომეტებულ ნაწილს კი არავითარი ქადაგება, რომ ისინი დაიღუპებიან ოსმალეთში, რომ იმათ ისეთივე ბედი მოელისთ, რა ბედიც თავის ქვეყნიდამ წასულ ჩერქეზებსა და აბხაზებს მოუვიდათ, არ ესმისთ და სტოვებენ თავიანთ ძამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, მიწა-წყალს და მიდიან.

დიდათ, დიდათ სამწუხაროა ეს მოვლენა. სამწუხაროა მით უფრო, რომ წინათვე შეიძლება, მართლა, ნამდვილად სთქვას კაცმა, რომ მომეტებული ნაწილი იმათგანი შიმშილითა, ავათმყოფობით და სხვა ათასგვარ შეწუხებით ამოწყდება ოსმალეთში...

დერვიშ-ფაშა, როგორც ამბობენ, ძალიან უწყობდა თურმე ხელს ამ ხალხის გადასახლებას. მე დამარწმუნეს, რომ ქობულეთიდამ და ციხის-ძირიდამ დაბრუნებულმა ნიზამის ჯარმა, დერვიშის ბრძანებით, ბევრი ახალგაზდა ქალი და ბიჭი ძალათ წაიყვანეს ბათუმში, რუსების შესვლამდინ ჩასვეს ხომალდებში და ტრაპიზონისაკენ გაისტუმრესო. ჩვენს ჩაქვში ყოფნის დროს თ. გრ. გურიელთან მოვარდა ერთი ატირებული ჩაქველი გლეხი, რომელმანც შესჩივლა, რომ გუშინ შემომიცვივდნენ სახლში ნიზამები, პაწაი ქალი და ცოლი მომტაცეს და ბათომში წაიყვანესო. ამ გვარი შემთხვევები ბევრი ყოფილა რუსის ჯარის მისვლამდინ;

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, მომეტებული ნაწილი კი თავის ნებით, ძალ-დაუტანებლად სტოვებს თავის სამშობლოს და მიდის. . . .

წარსულებს, ბევრ წილს, სრულებით უპატრონოთ, ოხრათ დაუტოვებიათ თავიანთი ადგილ-მამული და სახლ-კარი; ზოგიერთებს კი სულ მცირე ფასად გაუყიდნიათ. ბათუმში მოვიდა ჩემთან ერთი იქაური ახლო სოფლის გლეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრობს: „ძალა ღმერთსა ჰხნავსო!“ მაგრამ არა ყოველ შემთხვევაში. აი მეორე ანდაზა რას ამბობს: — „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“ მაშასადამე „ძალა“ ყოფილა გონივრულის ხერხისა და ხალხისაგან დაარსებული ყოველ გვარი კანონის საბრძოლველი იარალი, და თუ წინაალმდეგ შემთხვევაში იხმარა კაცმა, ე. ი. „მგლურათ“, მაშინ, ვიდრე თანამგრძნობი ამ უკანასკნელ მოქმედებისა, წინაალმდეგი და მდევარი უფრო მეტი გამოუჩნდება. ბევრს ბევრი რამ გვინდა, მაგრამ ძალით ვინ რას მოგვცემს!? . . .

გ. ბრემელი

— პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია 1 ენკენისთვეს არზრუმიდამ მიღებული დეპეშა, რომ ჯერ არზრუმი რუსებს არ დაუთმიათ ოსმალებისათვის და აქაური სომხები ახლავე შეშინებული არიან, რომ ვაი თუ მაჰმადიანებმა რამე შეურაცხყოფა მოგვაყენონ და შეგვავიწროვონო.

— გაზეთ „კავკაზს“ მოსვლია არზრუმიდამვე შემდეგი დეპეშა 7 ამ თვეს. „გუშინ, 6 ენკენისთვეს, არზრუმის სამხედრო ღუბერნატორმა ღენ. დუხავსკოიმ ქალაქი არზრუმი და მთელი იმის მაზრა ჩააბარა ოსმალოს მთავრობისაგან გამოგზავნილ პირებს. დღეს აქ მოვიდა ოსმალოს ჯარით ანატოლიის კორპუსის შტაბის უფროსი ფერიკი მუსა-ფაშა, რომელსაც ქალაქის კარებთან ჯარებით მიეგება არზრუმის კამენდანტი პოლკოვნიკი შაზბეგი. ჩვენი ჯარები და ჩინოვნიკები ყარსისაკენ მიდიან.“

— „მმართებლობის მოამბეში“ მოყვანილია ხონთქრის წერილი ხელმწიფე იმპერატორთან, რომელშიაც გამოცხადებულია ბოლგარიისა და აღმოსავლეთ რუმელიის მაჰმადიანები შეწუხებულნი და წვალებულნი არიან ქრისტიანებისაგან და თქვენის მხრით ყურადღების მიქცევის იმედი მაქვსო. ამის პასუხად ხელმწიფე იმპერატორმა მისწერა ხონთქარს, მე დარწმუნებული ვარო, რომ თქვენ გაზვიადებული ამბები მიგიღიათ ბოლგარიიდამაო, მაგრამ მაინც გამოძიებას მოვახდენ და ვეცდებიო, რომ ყველა წოდებისა და რჯულის ხალხი იმ ქვეყნებში სრულებით დაცულნი იყვნენ უკანონო მოქცევისაგანაო.

## ავსტრია

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია დიდი ზვორნიკიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, ბოსნიის აჯანყებულების რიცხვი ამ ჟამად 40,000-მდინ არისო, ყველა კარგათ არიან დაიარაღებული, ზარბაზნები ბლომათ აქვთო და გამაგრებულს პოზიციებზედ დგანანო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ავსტრიის ჯარები სარაევოს მიტოვებას აპირებენ, რადგან ამ ზამთარში იქ ვერ გამაგრდებიანო, და ისევ ბროდში ბრუნდებიან უკან.

როგორც ჰხედავთ, ავსტრიას ძალიან გაუძნელდა დაპყრობა ბოსნიისა და ჰერცოგოვინისა, რომელნიც ბერლინის კონგრესმა, ოსმალეთის სამწუხაროთ, დაუთმო იმას. ჯერ დღემდინაც ბევრი სისხლი დაიღვარა ამ პროვინციების დაპყრობაში და შემდეგში კიდევ უარესს მოელიან.

# ტელეგრამმები

## პეტერბურღის ბირჟა, 10 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—87 |
| მეორესი — — — — | 96—87 |
| მესამესი — — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — — | 95—50 |
| აღმოსავლეთის — — | 92—70 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8— 1 |

ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— „ „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 233—50 |
| მეორე სესხის — — — | 229—25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— — | 24—70 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 125— „ | ცენტი |
| ბერლინი— — — | 211—25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 260— „ | სანტიმი |
| ყავკასიის კერასინი | 2—45 | |
| ამერიკის — — — | 3—15 | |

# განცხადებანი

იქავ ისყიდება იმისივე

## „იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

**ფასი ორი შაური.**

---

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი თული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

და მითხრა, რომ მივდივარო და თუ გინდა ათასი არშინი მიწა მაქვს და ერთს რუსულ ასიანს (ას მანეთს) თუ მომცემ, მოგყიდიო.

მაგრამ სოფლის მამულებს იშვიათად ჰყიდულობენ. ბათუმში კი ერთს ადგილს ათასი მუშტარი უჩნდებოდა რუსების შესვლის პირველ დღეებში. როგორც მგლები მძოვრს, ისე დაესია იმერეთიდამ, გურიიდამ, სამეგრელოდამ და ტრაპიზონიდამ ჩამოსული ხალხი.

ზოგიერთ რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ, რომ, სხვათა შორის, ინგლისელები წავიდნენ ბათუმში და ბევრი მამულები იყიდესო. ეს სულ ტყუილი ამბავია: ჩემს იქ ყოფნის დროს მე არცერთი ინგლისელი არ მინახავს ბათუმში და სხვებმაც მითხრეს, რომ ბათუმში არც ერთი არშინი მიწა არ შეუძენიათ ჯერაო.

ამ ადგილების გაყიდვის დროს დიდი უკანონობა და უწესოება ხდებოდა მთელს ამ ახლად შეძენილს მაზრაში და განსაკუთრებით ქალაქს ბათუმში. ხშირად ერთსა და იმავე მამულს, ადგილს ან სახლს, ორს სხვა-და-სხვა პირზე ჰყიდდნენ ხოლმე, ზოგმა სხვისი კუთვნილი უძრავი მამულებიც კი გაჰყიდა. რადგან კადასტრის დავთრები (როგორც საზოგადოთ ყველა კანცელარიის და არხივის ქაღალდები) ოსმალოს სამოქალაქო მთავრობამ ბათუმიდამ წაიღო, და ბათუმის მეჯლიშიც დაუქმებული იყო, ამის გამო ნამდვილი პატრონი უძრავი მამულებისა კაცმა არ იცოდა და მყიდველები ვინც გამოჩნდებოდა და იტყოდა, ეს ჩემი მამული არისო, იმას ევაჭრებოდნენ, იმისაგან ჰყიდულობდნენ.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ბათუმის მაზრის ახლად დანიშნულმა სამხედრო ღუბერნატორმა ღენ. კომაროვმა და 3-ს ენკენისთვეს გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც, სანამ ტრაპიზონიდამ ბათუმის მაზრის მემამულეების კადასტრიდამ ამოწერილი ცნობები არ მოუვათ, და სანამ მთავრობა ნამდვილად არ გაიგებს, თუ ვის, სად, რა სამზღვრებში ეკუთვნის უძრავი ქონება, მანამ ყოველი ყიდვა-გასყიდვა უძრავი ქონებისა უკანონოთ ჩაითვლება. ამ კანონის ძალა ბერლინის ტრაქტატის დამტკიცებიდამ დაიწყება.

ს. მ.

ტფილისი, 12 ენკენისთვეს

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში მართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მგრგვალის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდამ გადმოწერისათვის მგრგვალის ხელით; 3 ანბანის დედანი ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (იგივე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები—რა უმთავრესის საფუძვლით ებმის ასოების ერთმანერთს გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **წიგნი სიბრძნე სიცრუისა** თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური

**თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები.** სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი. (5—4)

**გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

## „ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

**ფასი 15 კაპეიკი.**

## ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოტეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. გოგებაშვილის რედაქციით.

**ფასი ორი შაური**, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ მართანოვის წიგნის მაღაზიაში. (10—7)

ამ დღეებში მივიღეთ თბილისში

## სანაქებო დამღნარი ძროხის ერბო

სიბირის მხრიდან, რომელიც ისყიდება თამამშოვის ქარვასლასთან, თუთუნოვის კანტორის წინა. ბოჩკით მყიდველისათვის ფუთი 13 მანეთი, ფუთობით და ნახევარ ფუთობით 14 მანეთი და გირვანქობით ორი აბაზი. მეტათ საქებურია ამ ერბოს სუნი და გემო.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

## ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე კერესელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული

ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

## „წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი **სახელმძღვანელო წიგნი** (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა **„მაღაზიაში“** ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება კავკაზიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. მართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, **ისყიდება** რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი **„ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის **ფასი თხუთმეტი შაური**, გაგზავნით ოთხი აბაზი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხმა მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 სექტემბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯარსა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 25 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | — |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 8 | — |
| სტეარინის ს.ნთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 12 | — |

### თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., მიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., მიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.